ფრე “ლოკომოტივთან”

მოსკოვი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 8 სექტემბერი.

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:1).

“ლოკომოტივი”: მილესი, ხამზულინი, ოვჩინიკოვი, პერეგონცევი, რიაბოვსკი, ვასინი, კარაიჩევი, ეშტრეკოვი (მალინინი), პისკუნოვი, სმირნოვი (ტრუსოვი), ხიზუნი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, ყიფვიანი, გ. მაჩაიძე.

მსაჯი: მ. კუსენი (ლვოვი).

გაფრთხილებულია ვ. ჭელიძე.

დუბლიორები – 2:0.

წვიმიან ამინდში და სველ მინდორზე ფეხბურთელებისთვის ძნელი იყო შესაძლებლობების სრულად გამოვლენა და მაღალ დონეზე თამაში, მაგრამ ორივე გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ დაუკლიათ ცდა და მონდომება. მოთამაშეები იბრძოდნენ ენერგიულად, ტემპერამენტით, სახიფათო მომენტების არსებობა არ იგრძნობოდა არც ერთ მხარეს.

დასაწყისმა წარმატება თბილისელებს მოუტანა. მიმდინარეობდა მე–6 წუთი, მ. მაჩაიძემ შეასრულა ინდივიდუალური გარღვევა, საჯარიმო მოედანს მოახლოებულმა ზუსტად, ძლიერად დაარტყა და ბურთი ზედა ძელს ქვეშ გაეხვია ბადეში – 1:0.

“ლოკომოტივმა” მარცხს გაძლიერებული იერიშით უპასუხა, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო მეკარე გოგიამ, მაგრამ საპასუხო გოლი მაინც არ ჩანდა. ეს მოხდა 34–ე წუთზე დინამოელთა დაცვაში დაშვებული ტაქტიკური შეცდომის გამო. მოსკოველთა ერთ–ერთი შეტევის დროს უმეთვალყურეოდ დარჩა ოვჩინიკოვი, მცველებმა მას ვერ მიუსწრეს და ლოკომოტიველმა მაშინვე ისარგებლა ამ მომენტით – 1:1.

შესვენების შემდეგ თამაში კიდევ უფრო დაიძაბა. მე–60 წუთზე მილესმა ძლივს აიღო ყიფვიანის დარტყმა, შემდეგ ქორიძემ და გუცაევმა ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მდგომარეობები, 78–ე წუთზე კი “ლოკომოტივი” კიდევ ერთხელ გადაურჩა აშკარა გოლს, რკინიგზელებსაც ჰქონდათ ბურთის გატანის შესაძლებლობანი, მაგრამ კვლავ საიმედოდ ითამაშა გოგიამ.

მატჩის დასასრულს ისევ დინამოელები უტევდნენ, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა – 1:1.

“ლელო”, 10 სექტემბერი, 1975 წ.